საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს

2014 წლის 6 თებერვლის

დადგენილება N1070

ერთიანი ეროვნული გამოცდების
გავლის გარეშე ჩარიცხული უცხო ქვეყნის
მოქალაქე-სტუდენტებისთვის 2013-2014
სასწავლო წლის პირველი სემესტრის პირველი
შუალედური გამოცდის (ტესტირების) ჩატარების შესახებ

სტუ-ს ფაკულტეტების დეკანების (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე, ნ.შავიშვილი) მოხსენებითი ბარათების საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საჭო ადგენს:

1. ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე ჩარიცხული ზოგიერთი უცხო ქვეყნის მოქალაქე-სტუდენტები, რომლებიც სტუ-ში ჩარიცხვაზე რექტორის თანხმობის წერილის მიღებიდანვე მონაწილეობენ სასწავლო პროცესში ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე ან უცხოენოვან საბაკალავრო პროგრამებზე ჩარიცხული (ბრძ. N149,27.08.2013 და ბრძ. N183, 12.10.2013) სტუდენტებით დაკომპლექტებულ ჯგუფებში, ხოლო ბრძანება მათი ჩარიცხვის თაობაზე გამოიცა სასწავლო პროცესის დაწყების (შესაბამისად 23.09.2013 და 28.10.2013) შემდეგ, რის გამოც შეფასების ელექტრონულ უწყისში არ ხდებოდა მათი ცოდნის შეფასების ასახვა, და ამ კატეგორიის სტუდენტებს მათი არაბრალეულობის გამო შეექმნათ პრობლემები შეფასების მიღებაში, მიეცეთ უფლება ჩააბარონ პირველი შუალედური გამოცდა (ტესტირება) N183 ბრძანებით განსაზღვრულ ბოლო სასწავლო კვირაში (10.02.2014-15.02.2014), ხოლო დასკვნითი და დამატებითი გამოცდები – ამავე ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში (შესაბამისად 17.02 - 04.03 და 05.03-15.03);
2. დაევალოს საუნივერსიტეტო საგამოცდო ცენტრს (დ.კაპანაძე) ელექტრონული გამოცდების (ტესტირების), ხოლო ფაკულტეტის დეკანებს (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე, ნ.შავიშვილი) - დანარჩენ საგნებში გამოცდების (ტესტირების) ჩატარება არსებული წესის თანახმად.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე ა. ფრანგიშვილი

აკადემიური საბჭოს მდივანი გ. სალუქვაძე